შ.პ.ს. “კონსტუდიო”

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის მუნიციპალიტეტი, ხიზანიშვილის ქ.108 (ს/კ: 01.11.10.008.001), შენობის კორექტირებული პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2021

წინა პირობები:

შპს "მირაქსი"-ის დაკვეთით, ჩვენს მიერ დასადგენია აღნიშნულ მისამართზე მშენებარე სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების და გაანგარიშებების ხარისხი, როგორც სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე შენობის კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და მედეგობის გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერსპექტივით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია საპროექტო მასალები:

1. ინდმეწარმე ზ. დევდარიანის მიერ 2019 წელს შესრულებულ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.
2. შპს "ბიმოსტუდიო"-ს მიერ შესრულებული არქიტექტურული ნაწილის კორექტირებული პროექტის ვექტორული ფაილი.
3. "მირაქსი"-ს მიერ "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით მოდელირებული შენობის გაანგარიშების ელექტრონული ფაილი.
4. შპს "მირაქსი"-ს მიერ შესრულებული პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის მუშა დოკუმენტაციის ნახაზების ელექტრონული (pdf) ფაილები;

საერთო:

თავდაპირველ პროექტში 12 სართულიან შენობას გააჩნდა ერთი მიწისქვეშა სართული. ობიექტის პროექტის კორექტირების მიზეზია 12 სართულიან სახლზე კიდევ ერთი მიწისქვეშა სართულის – ავტოფარეხის დამატება და შესაბამისად მიწისქვეშა ავტოფარეხების შემაერთებელი და მისასვლელი გვირაბის ცვლილებაც.

სამშენებლო უბნისთვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

შენობისთვის საძირკვლების ფუძედ მიღებულია თიხა მოწითალო (ფენა III): $\varphi=16.4^0$; c=36 კპა; E=22 მპა. საძირკვლებად მიღებულია 110 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილა. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის სვეტების (800X400), დიაფრაგმების

(b=200), კოჭების (400X550h, 200X550h) და გადახურვის ფილების (h=200) კარკასულ-კავშირებიანი სივრცული სისტემით. მზიდი კონსტრუქციებისთვის ბეტონის კლასი მიღებულია B25; სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასებია AIII და AI. ფუძე-საძირკვლების და კარკასულ-კავშირებიანი სისტემის ერთობლივი სივრცული მოდელირება და გაანგარიშება განხორციელებულია პროგრამული კომპლექსის "მონომახ-საპრ 2013"-ის გამოყენებით, სტანდარტული სპექტრული მეთოდით. გაანგარიშებები შესრულებულია დატვირთვების თანწყობებზე 8 ბალიანი მიწისძვრის გათვალისწინებით. ნახაზების სახით მოცემული კონსტრუქციული ნაწილის მხაზველობითი ნაწილი, ასევე კომპიუტერული მოდელირება-გაანგარიშება შესრულებულია პროფესიულ დონეზე. წარმოდგენილი საპროექტო მუშა დოკუმენტაცია შეესაბამება და აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

<u>დასკვნა:</u>

წარმოდგენილი პროექტის კორექტირებულ კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, ედიშერ

შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი, ტმდ წოწერია



თბილისი 02-02-2021